

საზოგადოებრივი კოლეჯი  
„კავკასიონი“

პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამა

ინფორმაციული ტექნოლოგი

040153

60 კრედიტი

„ვამტკიცებ“

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“ს  
დირექტორი რ. ლომია

ბრძანება №50 , 07.07.2017 წელი

-----

ქუთაისი 2017

# საზოგადოებრივი კოლეჯი “კავკასიონი”

---

I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ინფორმაციული ტექნოლოგი

II. პროფესიული განათლების საფეხური: მესამე საფეხური.

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მესამე საფეხურის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და მიეცემა პროფესიული დიპლომი.

IV. პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (1500 საათი). აქედან 60 % ეთმობა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას. სწავლის ხანგრძლივობაა 38 კვირა.

>პროგრამა აგებულია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად.

V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ზოგადი განათლების საბაზო საფეხური.

VI. პროგრამის მიზანი: მესამე საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს უნდა გააჩნდეს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებდეს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.

შესძლოს გამოიყენოს დარგის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომები, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.

შესძლოს: განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.

# საზოგადოებრივი კოლეჯი “კავკასიონი”

## VII. სწავლის შედეგი:

<p style="text-align: center;"><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p>	<p>ეცოდინება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• თანამედროვე კომპიუტერების არქიტექტურა;</li> <li>• კომპიუტერების შიგა კომპონენტების (დედაპლატა, ცენტრალური პროცესორი, მუდმივი და ოპერატიული მეხსიერების მიკროსქემები, გამაგრებელი სისტემები, გაფართოების პლატები, ინფორმაციის შემნახველი მოწყობილობები, შიგა კაბელები) დანიშნულება და მახასიათებლები;</li> <li>• აპარატურული და პროგრამული უსაფრთხოების წესები;</li> <li>• სტაციონარული და პორტატიული კომპიუტერების მსგავსება და განსხვავება;</li> <li>• პერიფერიული მოწყობილობების გამართვა და მათი მუშაობის პრინციპები;</li> <li>• ოპერაციული სისტემის დანიშნულება და მუშაობის პრინციპები;</li> <li>• ოპერაციული სისტემის აპარატურული უზრუნველყოფის მოთხოვნები და პლატფორმასთან შესაბამისობის განსაზღვრა;</li> <li>• ოპერაციული სისტემის დაყენება და პარამეტრების განსაზღვრა;</li> <li>• ოპერაციული სისტემების გაუმართაობების მიზეზების მოძიება და აღმოფხვრა;</li> <li>• სამომხმარებლო და ანტივირუსული პროგრამების მოწყობა;</li> <li>• კომპიუტერული ქსელის არსი და უპირატესობა;</li> <li>• ქსელური მოწყობილობების დანიშნულება და მახასიათებლები; დამისამართება, გამტარუნარიანობა და მონაცემთა გადაცემა;</li> <li>• ლოკალური ქსელის არქიტექტურა და ტოპოლოგიები;</li> <li>• კომპიუტერული ქსელის მუშაობის პრინციპები და ქსელური სერვისების გამოყენება;</li> <li>• აპარატურული და პროგრამული დიაგნოსტიკური საშუალებები;</li> </ul>
<p style="text-align: center;"><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p>	<p>შეძლება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კომპიუტერის აწყობა, მოდერნიზაცია და გამართვა;</li> <li>• პროფილაქტიკური მომსახურება ფუნქციური შესაძლებლობების გაზრდის მიზნით;</li> <li>• გაუმართაობების აღმოფხვრა და კომპიუტერების შეკეთება;</li> <li>• პერიფერიული მოწყობილობების დამატება და გამართვა;</li> <li>• დრაივერების ინსტალაცია და განახლება;</li> <li>• ოპერაციული სისტემის შერჩევა კლიენტის მოთხოვნების საფუძველზე, მისი დაყენება, გამართვა და ოპტიმიზაცია;</li> <li>• სამომხმარებლო და ანტივირუსული პროგრამების ინსტალაცია, განახლება და გამართვა;</li> <li>• მონაცემთა აღდგენა;</li> <li>• აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის დიაგნოსტიკა, წარმოქმნილი პრობლემების მიზეზის დადგენა და მის კვლიფიციურ აღმოფხვრა;</li> <li>• მცირე საოფისე ქსელების დაპროექტება და მოწყობა.</li> <li>• ქსელური მოწყობილობებისა და კაბელის ტიპების არჩევა;</li> <li>• ქსელის ინსტალაცია და ტესტირება;</li> <li>• ქსელური რესურსების კონფიგურაცია.</li> </ul>
<p style="text-align: center;"><b>დასკვნის გაკეთების უნარი</b></p>	<p>შეძლება:</p> <p>ტექნიკური დათვალიერების ან კლიენტიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე წარმოქმნილი პრობლემის მიზეზების გააზრება, პრიორიტეტების განსაზღვრა და მათი კვალიფიცირებული აღმოფხვრა;</p> <p>საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციის მოძიება ინტერნეტის ან ტექნიკური დოკუმენტაციის გამოყენებით.</p>
<p style="text-align: center;"><b>კომუნიკაციის უნარი</b></p>	<p>შეძლება:</p> <p>პროფესიულ თემებზე საუბარი კლიენტებთან, კლიენტისგან ინფორმაციის მიღება პრობლემის შესახებ, კლიენტის კომპიუტერული პრობლემის განსაზღვრა.</p> <p>საჭიროების შემთხვევაში, როცა მიზანშეწონილია პრობლემის გადამისამართება სხვა სპეციალისტისთვის, კლიენტის პრობლემის აღწერა და წერილობით გადმოცემა.</p> <p>ახალი ტექნოლოგიების გაცნობის მიზნით, შესაბამისი პრეზენტაციების მომზადება და საკუთარი მოსაზრებების წარდგენა კოლეგებთან ან ხელმძღვანელობასთან.</p>

## საზოგადოებრივი კოლეჯი “კავკასიონი”

	ტექნიკური დოკუმენტაციის გაცნობა და საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციის გაწევა და მარტივი კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე; ექნება ჯგუფში მუშაობის და კონკრეტულ გარემოსა და სიტუაციასთან ადაპტირების უნარი.
<b>სწავლის უნარი</b>	საინფორმაციო ტექნოლოგიების მუდმივი განვითარების პირობებში, დამოუკიდებლად შესძლებს პროფესიასთან დაკავშირებული ახალი ინფორმაციის მოძიებას, გარჩევას და შესწავლას. ასევე ექნება პასუხისმგებლობა პროფესიული და კარიერული ზრდის თვალსაზრისით სწავლის შემდგომ გაგრძელებაზე.
<b>ღირებულებები</b>	გაცნობიერებული ექნება ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან მუშაობის იურიდიული და ეთიკური ასპექტები. კლიენტთან ურთიერთობისას დაიცავს პროფესიული ქცევის ნორმებს და გაითვალისწინებს კლიენტის სურვილებს. ასევე დაიცავს უსაფრთხოების წესებს. პასუხისმგებელი იქნება მასზე დაკისრებული სამუშაოს დროულად და ხარისხიანად შესრულებაზე.

### VIII. სწავლის შედეგების რუკა

№	სასწავლო კურსები/ მოდულები/საგნები	სწავლის შედეგები					
		ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1.	ინფორმაცია და ინფორმაციული უსაფრთხოება	X	X			X	X
2.	უცხო ენა	X			X	X	
3.	კომპიუტერული საოფისე პროგრამები			X	X	X	
4.	ეთიკა და სამართლის საფუძვლები				X	X	X
5.	კომპიუტერული სისტემების პროგრამული და ტექნიკური უზრუნველყოფის საფუძვლები	X	X	X	X	X	
6.	კომპიუტერული ქსელების ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის საფუძვლები	X	X	X	X		
7.	საწარმო პრაქტიკა 1		X	X			
8.	საწარმო პრაქტიკა 2		X	X			

# საზოგადოებრივი კოლეჯი “კავკასიონი”

## IX. სასწავლო გეგმა

(მითითებულია სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები/საწარმოო პრაქტიკა კრედიტების მიხედვით. კრედიტი მოიცავს როგორც სააუდიტორიო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათებს)

### I ნაწილი

ს ა გ ნ ე ბ ი	კრედიტების რაოდენობა	ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა							სულ საათების რაოდენობა
		საკონტაქტო საათები						დამოუკიდებელი საათები	
		ლექცია	პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	დასკვნითი შუა-ლექტური/შეფასება		
კომპიუტერული საოფისე პროგრამები	3	15		30			3	27	75
უცხო ენა	3		45				3	27	75
კომპიუტერული სისტემების პროგრამული და ტექნიკური უზრუნველყოფის საფუძვლები	6	15	15	45			4	71	150
საწარმო პრაქტიკა 1	18				440		10		450
<b>სულ</b>	<b>30</b>	<b>15</b>	<b>60</b>	<b>90</b>	<b>440</b>		<b>20</b>	<b>115</b>	<b>725</b>

### II ნაწილი

ს ა გ ნ ე ბ ი	კრედიტების რაოდენობა	ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა							სულ საათების რაოდენობა
		საკონტაქტო საათები						დამოუკიდებელი საათები	
		ლექცია	პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	დასკვნითი შუა-ლექტური/შეფასება		
ინფორმაცია და ინფორმაციული უსაფრთხოება	5	15	15	30			4	61	125
ეთიკა და სამართლის საფუძვლები	2	15	15				3	17	50
კომპიუტერული ქსელების ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის საფუძვლები	5	15	15	30			4	61	125
საწარმოო პრაქტიკა 2	18					440	10		450
<b>სულ</b>	<b>30</b>	<b>45</b>	<b>45</b>	<b>60</b>		<b>440</b>	<b>21</b>	<b>139</b>	<b>750</b>

## X. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა(დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას
- სემინარულ/პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობას
- დამოუკიდებელ მეცადინეობას
- სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას

## XI. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

(ადეკვატურია პროფესიული სტუდენტის კრედიტების გაანგარიშების წესში მითითებული შეფასების სისტემის)

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება არანაკლებ 10 დღის ვადაში.

ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფ

ასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა, რომელიც შემდეგნაირად ნაწილდება: შუალედური გამოცდა 60 ქულა, დასკვნითი გამოცდა 40 ქულა.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება
- დასკვნითი შეფასება

შეფასების მეთოდი:

- ტესტი
- წერა და ზეპირი გამოკითხვა
- პრეზენტაცია და დემონსტრირება

# საზოგადოებრივი კოლეჯი “კავკასიონი”

## XII. სწავლების მეთოდები

(სასწავლო კურსის/მოდულის სწავლის შედეგების მიღწევისათვის შემუშავებულია სწავლების ადეკვატური მეთოდები).

- დისკუსია.
- ახსნა–განმარტება.
- წიგნზე მუშაობა.

## XIII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ.

(ინფორმაცია იმ პერსონალის შესახებ, რომლებიც საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული სასწავლო კურსების/მოდულების წარმართვაში მონაწილეობენ).

კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
ინგლისური ენა	თეა სიმსივე	მაგისტრის აკადემიური ხარისხი. ინგლისური ენის მეთოდოლოგია და მეთოდოლოგიაში.
	თეონა ტალიკაძე	სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხი.საერთაშორისო ურთიერთობებში.
ეთიკა და სამართლის საფუძვლები	მელანია კარანაძე	სამართალმცოდნეობის სპეციალისტი.იურისტის კვალიფიკაციით.
კომპიუტერული საოფისე პროგრამები	დავით კუპრეიშვილი	აგრონომის კვალიფიკაცია. გამოცდილება - ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტი, საინფორმაციო სისტემების კათედრის ასისტენტი.
	რამაზი მაისაშვილი	ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი.
ინფორმაცია და ინფორმაციული უსაფრთხოება	ნოდარი ჭანტურია	ინჟინერიის აკადემიური დოქტრი, ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი
კომპიუტერული სისტემების პროგრამული და ტექნიკური უზრუნველყოფის საფუძვლები	რამაზი მაისაშვილი	ინფორმაციული ტექნოლოგიების

## **საზოგადოებრივი კოლეჯი “კავკასიონი”**

კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
კომპიუტერული ქსელების ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის საფუძვლები		სპეციალისტი.
საწარმო პროექტივა 1	რამაზი მაისაშვილი	ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი.
საწარმო პროექტივა 2	ნოდარი ჭანტურია	ინჟინერის აკადემიური დოქტრი, ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი

**XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ.**

საზოგადოებრივი კოლეჯს „კავკასიონს“ პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის გააჩნია შესაბამისი ფართი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა თეორიული სწავლებისთვის: სათანადო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, შემდეგ მისამართზე ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ.№2.

**XV. საწარმოო სწავლება/საწარმოო პროექტივა:** სასწავლო და საწარმოო პროექტებს გაივლიან (გადანაწილდებიან) შემდეგ ორგანიზაციებში:

1. შპს “ახალი ქსელები“ . ხელშეკრულება №58 . 24.03. 2017 წელი.
2. შპს „ბი ემ სი“ გორგია“. ხელშეკრულება №81 . 03.07. 2017 წელი.
3. შპს კომლენდი. ხელშეკრულების №52. 01.03. 2017 წელი.
4. ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.  
ხელშეკრულების №4. 12.03. 2014 წელი.